12/2018

ხელშეკრულება 2018/6

სახელისუფლებო სპეცკავშირით მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 18 დეკემბერი 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო" (შემდგომში-"შემსრულებელი") სააგენტოს უფროსის ნიკოლოზ დიდიძის სახით, ერთის მხრივ,

და

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში-„აბონენტი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გრიგოლ გიორგაძის სახით, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და სსიპ „სახელმფიწო შესყიდვების სააგენტო"-ს მიერ გაცემული თანხმობის (SMP170002947) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი" ახორციელებს „აბონენტის" სპეცკავშირის სატელეფონო და/ან ინფორმაციის მიმოცვლის სისტემით, დახურულ რეჟიმში (შემდგომში - „ინფორმაციის მიმოცვლის სისტემა - SLP") საკომუნიკაციო მომსახურებას.

1.2. CPV 642 00000; ბიუჯეტოს კოდი: **340101.**

მუხლი 2. მომსახურების გაწევის წესი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე „შემსრულებელი" ახორციელებს „აბონენტის" სპეცკავშირის სისტემით მომსახურებას. სატელეფონო ნომრ(ებ)ის და/ან "ინფორმაციის მიმოცვლის სისტემის-SLP" დამატებითი ჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეთა შორის შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვეში უზრუნველყოფს მის ჩართვას სპეცკავშირის მომსახურების ქსელში.

2.2. სპეცკავშირების მომსახურება მოიცავს:

1. სატელეფონო მომსახურებას დახურულ რეჟიმში;
2. სატელეფონო მომსახურებას დაცულ რეჟიმში;
3. ინფორმაციის მიმოცვლის სისტემით მომსახურებას დახურულ რეჟიმში;
4. სატელეფონო მომსახურებას ღია რეჟიმში, სხვა ოპერატორის აბონენტთან.

2.3. სპეცკავშირების სისტემის ქსელიდან ზარის განხორციელების შესაძლებლობები/შეზღუდვები (დანართი N1-ში მითითებულ ნომერზე) განისაზღვრება კლასების მიხედვით და მოიცავს ხუთ კლასს:

2.3.1. I კლასის სერვისის გააქტიურებისას აბონენტი ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობს სატელიტური კავშირის ოპერატორების ქსელში; საზღვარგარეთის სტაციონარული და მობილური ოპერატორების ქსელში; საქართველოს მობილური ოპერატორების ქსელში; საქართველოს სტაციონარული ოპერატორების ქსელში; სპეცკავშირის ქსელში.

2.3.2. II კლასის სერვისის გააქტიურებისას აბონენტი ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობს საზღვარგარეთის სტაციონარული და მობილური ოპერატორების ქსელში; საქართველოს მობილური ოპერატორების ქსელში; საქართველოს სტაციონარული ოპერატორების ქსელში; სპეცკავშირის ქსელში.

2.3.3. III კლასის სერვისის გააქტიურებისას აბონენტი ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობს საქართველოს მობილური ოპერატორების ქსელში და საინფორმაციო მომსახურებაზე; საქართველოს სტაციონარული ოპერატორების ქსელში; სპეცკავშირის ქსელში.

2.3.4. IV კლასის სერვისის გააქტიურებისას აბონენტი ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობს საქართველოს სტაციონარული ოპერატორების ქსელში; სპეცკავშირის ქსელში.

2.3.5. V კლასის სერვისის გააქტიურებისას აბონენტი ზარის განხორციელების უფლებით სარგებლობს სპეცკავშირის ქსელში.

2.4. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა პრეტენზია დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან «აბონენტის» მიერ «შემსრულებლისათვის» წარდგენილი იქნება მხოლოდ წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში «შემსრულებელი» მის მიერ გაწეულ მომსახურებას განიხილავს უნაკლოდ.

მუხლი 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ფასი 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „აბონენტის" გამოთვლით განისაზღვრება **3,000.00 (სამი ათასი)** ლარით, ღირებულება მოიცავს, როგორც სააბონენტო, ასევე წუთობრივ გადასახადს.

3.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით „შემსრულებლის" მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. "აბონენტი" სპეცკავშირის სისტემით მომსახურებისათვის იხდის სააბონენტო და წუთობრივ გადასახადს ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად (მათ შორის, ზარის ღირებულებას, რომელიც წარმოქმნილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 ოქტომბრის N612-ე დადგენილებით განსაზღვრული უმაღლესი და პირველი კატეგორიის აბონენტების, სპეცკავშირის სისტემის კომუტატორის მეშვეობით სისტემის ქსელის გარეთ დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, სპეცკავშირის ფიქსირებულ ნომერზე აბონენტს აქვს თუ არა გააქტიურებული ფასიან ზარზე გასვლა). სააბონენტო გადასახადის საფასურს დანართი 1-ში აღნიშნული თანხის ოდენობით (10 დღეზე და მეტი ვადით გაწეული მომსახურებისას მთლიანი თვის სააბონენტო ღირებულებას, ხოლო 10 დღემდე გაწეული მომსახურებისას ფაქტიური დღეების მიხედვით), ხოლო სატელიტური, საზღვარგარეთის სტაციონარული და მობილური, საქართველოს მობილური ოპერატორების, საქართველოს სტაციონარული ქსელის მიმართულებით განხორციელბულ ზარებზე წუთობრივ გადასახადს იხდის დანართი 2-ში აღნიშნული ტარიფის მიხედვით.

– წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საბილინგო მონაცემებზე დაყრდნობით ფასიანი ზარების დეტალური ინფორმაცია „აბონენტს" წარედგინება ანგარიშფაქტურასთან ერთად.

– მხარეები თანხმდებიან, რომ სააბონენტო გადასახადის დარიცხვისათვის ფაქტიურად გაწეულ მომსახურებად განიხილება ის შემთხვევაც, როდესაც სისტემის ტელეფონი ჩართულია სპეკკავშირის სისტემის ქსელში, მიუხედავად იმისა, „აბონენტი“ უშუალოდ სარგებლობს თუ არა ამ მომსახურებით.

3.4. სახელშეკრულებო ფასი წარმოადგენს ღირებულებით პარამეტრს და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიძლება განიცადოს ცვლილებები, როგორც გაზრდის, ასევე შემცირების მხრივ, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, რაზედაც მხარეები აფორმებენ წერილობით შეთანხმებას.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებანი

4.1. «შემსრულებელი» ვალდებულია:

4.1.1. ხელშეკრულების საგნის შესრულებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს „აბონენტი“ საიმედო, უსაფრთხო და ოპერატიული კავშირით.

4.1.2. უზრუნველყოს სპეკკავშირის განხორციელებისათვის აუცილებელი, მის მფლობელობაში არსებული მონაცემთა გადაცემის ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამართული მუშაობა (გარდა „აბონენტისა“ და მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა. ოპერატიულად (შესაძლო მოკლე ვადაში) მოახდინოს გამოვლენილი დაზიანებების აღმოფხვრა (გარდა „აბონენტისა“ და მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა).

4.1.3. „აბონენტს“ ყოველი თვის 10 რიცხვამდე წარუდგინოს, დადგენილი წესით დამტკიცებული ფორმით, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა გასულ საგეგმო თვეში გაწეული მომსახურების შესახებ. ხოლო „აბონენტის“ წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საბილინგო მონაცემებზე დაყრდნობით, ანგარიშფაქტურასთან ერთად მიაწოდოს განხორციელებული ფასიანი ზარების დეტალური ინფორმაცია.

4.1.4. „აბონენტის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „შემსრულებელი“ ვალდებულია წარუდგინოს „აბონენტს“ ყოველთვიური აქტი გაწერილი მომსახურების შესახებ.

საგეგმო წლის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს „აბონენტს“ წლიური ურთიერთშედარების აქტი.

4.1.5. „აბონენტთან“ განთავსებული სპეკკავშირის აპარატურის მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზის, დაზიანების ან სხვა მსგავს შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება „შემსრულებლის“ მიერ მისი აღმოფხვრა დისტანციურად, აცნობოს „აბონენტს“ საკომუნიკაციო საშუალებით და/ან წერილობით.

4.1.6. გაუწიოს „აბონენტს“ 24 საათიანი საინფორმაციო მომსახურება ტექნიკურ საკითხებზე.

ცხელი ხაზი: ტელ.+995 32 2282626.

4.2. „აბონენტი“ ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს „შემსრულებლის“ თანამშრომელთა შეუფერხებელი დაშვება იმ ობიექტებზე, რომელიც გამოიყენება ამ ხელშეკრულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საგნის შესრულებისას.

4.2.2. საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებლად და უპირატესად გამოუყოს "შემსრულებელს" მის სარგებლობაში არსებული ქსელები, არხები და სპეკკავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ტექნიკური საშუალებები.

4.2.3. მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს "შემსრულებელს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. მათ შორის უზრუნველყოს „აბონენტის“ მფლობელობაში არსებული სპეკკავშირის სისტემის აპარატურისათვის საერთო მოხმარების მონაცემთა გადაცემის ქსელის - სიმეტრიული „ინტერნეტისა“ და უწყვეტი ძაბვის მიწოდება.

4.2.4. ამ ხელშეკრულების 4.1.3. ქვეპუნქტის გათვალისწინებული პირობით წარდგენილი ანგარიშფაქტურა დაადასტუროს დადგენილი წესით 2 (ორი) სამუშაო დღეში და 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში აანაზღაუროს გასულ საგეგმო თვეში მიღებული მომსახურების ღირებულება, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „დავალიანება“.

4.2.4. „აბონენტი“ ვალდებულია გადაიხადოს საქართველოს სტაციონარული ქსელის მიმართულებით ფაქტობრივად განხორციელებული ზარების მომსახურების ღირებულება ან ყოველთვიურად ფიქსირებული გადასახადი ერთ სატელეფონო ნომერზე 10 (ათი) ლარი. რის თაობაზეც, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე წერილობით აცნობოს „შემსრულებელს“, რომელიც განიხილება მოცემულ საკითხზე მხარეთა შორის შეთანხმებად.

4.2.5. „შემსრულებლის“ მიერ წლიური შედარების აქტის წარდგენიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს მისი ხელმოწერა, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, სათანადო მიზეზის მითითებით, ამავე ვადაში აცნობოს „შემსრულებელს“ წერილობით.

4.2.6. „შემსრულებლის“ საკუთრებაში არსებული და „აბონენტზე“ დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის, „აბონენტის“ მიზეზით დაზიანების შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი ღირებულების (გადაცემის აქტში დაფიქსირებული ოდენობით) ანაზღაურება, მიუხედავად დაზიანების მიზეზისა. „აბონენტის“ მიზეზით დაზიანებად არ განიხილება, ისეთი შემთხვევა თუ აპარატურა ექსპლოატაციაში გაშვებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოავლენს პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზს, რომელიც დადასტურებული იქნება „შემსრულებლის“ ტექნიკური სამსახურის მიერ.

4.2.7. უზრუნველყოს მიღება - ჩაბარების აქტით გადაცემული სატელეფონო აპარატურისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შენახვა, მათ შორის ლუქების დაცულობა.

4.2.8. „შემსრულებლის“ თანხმობის გარეშე არ გადაიტანოს სპეკკავშირის სისტემის აპარატურა (მოწყობილობა) სხვა მისამართზე (მათ შორის სხვა ოთახში) აგრეთვე არ მოახდინოს მისი პარალელური ჩართვა. არ დაუშვას მონაცემთა გადაცემის სისტემის ან სხვა მოწყობილობების თვითნებურად ჩართვა ქსელში, ან გამორთვა სპეკკავშირის ტექნიკურ სამსახურთან კონსულტაციის გარეშე. „შემსრულებლის“ თანხმობის გარეშე არ განახორციელოს ინტერნეტ პროვაიდერისა და ინტერნეტ მისამართების, ან სხვა პარამეტრების ისეთი ცვლილება, რამაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს სპეკკავშირის სისტემის აპარატურის ნორმალურ მუშაობაზე.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს უნაზღაურებს მიყენებულ ზარალს საბაზრო ფასების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. «შემსრულებელი» უფლებამოსილია «აბონენტს» დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შეუწყვიტოს მომსახურება, «შემსრულებელის» მიერ მისთვის მომსახურების შეწყვეტიდან 30 დღის შემდეგ მოშალოს წინამდებარე

ხელშეკრულება, გამორთოს «აბონენტი» სპეკკავშირის სისტემით მომსახურების ქსელიდან და მიიღოს ზომები დავალიანების ამოსაღებად;

მიყენებული ზიანისთვის საზღაურის გაცემის და/ან დავალიანების გადახდის შეჩერების შემთხვევაში "შემსრულებელი" უფლებამოსილია "აბონენტს" გადაახდევინოს საურავის სახით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0,1 პროცენტი.

მუხლი 6. ფორსმაჟორული გარემოებები

6.1. ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7.2. ხელშეკრულების გაუქმება დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.3. ნებისმიერი მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულებიდან გასვლას, ვალდებულია წერილობით 1 (ერთი) თვით ადრე აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.4. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიური შეუსრულებლობისას. სისტემატურად ჩაითვლება 2 თვის ვადით ვალდებულების შეუსრულებლობა.

7.5. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები წარმოადგენენ ურთიერთანგარიშსწორების საბოლოო ოქმს. აღნიშნული პირობის დადგომისას, აბობონენტი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან არ თავისუფლებდება. ქსელში ჩართვის საფასური «აბონენტს» არ უბრუნდება.

7.6. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთმა მხარემ წერილობით არ აცნობა მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, იგი ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით, ამასთანავე ძალაში რჩება პუნქტი 7.3. გათვალისწინებული პირობა.

მუხლი 8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. 8.1. პუნქტის დებულება არ მოქმედებს, თუ ერთ-ერთი მხარის უფლებები ან/და ვალდებულებანი გასხვისებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მხარეთა უფლებამონაცვლეზე.

8.3. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით. მხარეთა შორის შედგენილი ნებისმიერი წერილობითი შეთანხმება დაერთვება ხელშეკრულებას.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე **3 (სამი)** ეგზემპლარად. ხელშეკრულებას თან ახლავს ორი დანართი, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ინახება ხელშეკრულებასთან ერთად.

8.5. იურიდიული მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან 3 (სამი) დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ.

მუხლი 9. დავების განხილვა

მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	აბონენტი:
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი 204429494	ს. კოდი 200037646
მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ.N2	მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა
სახელმწიფო ხაზინა	ტელ: 2 31 15 80
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003	სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022	ბ. კოდი TRESGE22
ბანკის კოდი – TRESGE22	ა/ა GE24NB0330100200165022
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121	
სააგენტოს უფროსი	მინისტრის პირველი მოადგილე
_____ ნ. დიდიძე	_____ გ. გიორგაძე

აბონენტის მიერ ზარის განხორციელების/შეზღუდვის სერვისები

*	შეზღუდვის კლასი	I	II	III	IV	V
ზარის განხორციელება სპეცკავშირის ქსელიდან	სატელიტური კავშირის ოპერატორ(ებ)ის ქსელში	*				
	საზღვარგარეთის სტაციონარული და მობილური ოპერატორ(ებ)ის ქსელში	*	*			
	საქართველოს მობილური ოპერატორ(ებ)ის ქსელში და საინფორმაციო მომსახურებაზე	*	*	*		
	საქართველოს სტაციონარული ოპერატორ(ებ)ის ქსელში	*	*	*	*	
	სპეცკავშირის ქსელში	*	*	*	*	*

ინფორმაცია აბონენტის სპეცკავშირის ნომრების შესახებ,
სააბონენტო გადასახადი და მომსახურებათა ჩამონათვალი:

<u>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო</u>

	ნომერი	აბონენტი (სახელი, გვარი)	მომსახურება		
			აპარატის ტიპი	ფასი	ფასიანი ზარის განხორციელების/შეზღუდვის კლასი
1.	1060		IP	70.80	I
2.	1450		IP	70.80	I
3.	1402		IP	70.80	I

„შემსრულებელი“
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“

სააგენტოს უფროსის მოადგილის შემსრულებელი

_____ ნ.დიდიძე

ბ.ა.

„აბონენტი“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა სამინისტრო

მინისტრის პირველი მოადგილე

_____ გ. გიორგაძე

ბ.ა.

ფასიანი ზარების ტარიფები
სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის აბონენტებისათვის
ძირითად მიმართულებებზე

ზონა, ქვეყნები და მიმართულებები	ლარი/წთ	ზონა, ქვეყნები და მიმართულებები	ლარი/წთ
ავსტრალია	0.36	ავსტრალია (მობ) (SATELLITE)	11.40
ავსტრია	0.69	ავსტრია (მობ)	1.24
ავღანეთი	1.13	აზერბაიჯანი	1.03
აზერბაიჯანი (SPECIAL SVC)	6.80	აზერბაიჯანი (მობ)	1.61
ალბანეთი	0.75	ალბანეთი (მობ)	1.86
ალბანეთი (მობ) (EAGLE-VAS)	3.55	ალჟირი	2.80
ანტილები	0.65	არგენტინა	0.48
აშშ	0.14	აშშ (TOLL-FREE)	0.36
ბაჰრეინი	0.75	ბელგია	0.48
ბელგია მობ) (VOXBON)	1.86	ბელგია-(მობ) (BASE)	0.14
ბელორუსი	2.00	ბენინი	1.65
ბოლივია	1.13	ბოსნია-ჰერცოგოვინა	0.69
ბოსნია-ჰერცოგოვინა (მობ)	1.42	ბრაზილია	0.55
ბულგარეთი	0.44	ბულგარეთი (SPECIAL SERVICES)	2.35
ბულგარეთი (WIMAX)	0.36	ბულგარეთი (MTEL. TELENOR. VIVATELI)	1.78
განა	1.39	გერმანია	0.14
გერმანია (მობ)	0.75	გვინეა	2.60
გიბრალტარი	0.75	გრენლანდია	2.00
დანია	0.14	დიდი ბრიტანეთი	0.19
დიდი ბრიტანეთი (ALTERNATIVE)	1.13	დიდი ბრიტანეთი (VOIP-VAS)	3.48
დიდი ბრიტანეთი (NTS/NATIONAL PLUS)	1.24	დიდი ბრიტანეთი (მობ) (PNS)	1.48
დიდი ბრიტანეთი (JERSEY)	0.63	დომინიკა	1.13
დომინიკის რესპუბლიკა	0.36	ეგვიპტე	0.75
ეთიოპია	1.24	ერაყი	1.03
ესპანეთი	0.19	ესპანეთი (VAS)	3.48
ესპანეთი (SHARED SVC)	0.69	ესპანეთი-მობ	0.44
ესტონეთი	0.27	ესტონეთი (NG)	3.48
ესტონეთი (მობ)	1.61	ვენესუელა	0.31
ვიეტნამი	0.44	ზამბია	2.26
ზიმბაბვე	2.26	თურქეთი	0.27
თურქეთი (მობ)	1.13	თურქეთი (მობ) (AVEA, TURK CELL, VODAF.NCTELSIM)	0.69
თურქეთი (მობ) (GLOBALSTAR)	3.12	თურქეთი (DIRECTORY ASSISTANCE)	1.39
თურქმენეთი	0.69	იამაიკა	0.92
იაპონია	0.27	იემენი	0.75
ინდოეთი	0.14	ინდონეზია	0.36
ინდონეზია (მობ) (SATELLITE)	5.13	იორდანია	0.92
ირანი	0.99	ირლანდია	0.14
ირლანდია (PERSONAL NUMBER, NAT.ACCESS VOIP)	0.53	ირლანდია (მობ)	0.63
ისლანდია	0.16	ისრაელი	0.16
ისრაელი (მობ)	0.99	იტალია	0.14
იტალია (მობ) (INTERMATICA)	2.92	იტალია (მობ)	1.39
კამბოჯა	0.36	კამერუნი	1.61

კამერუნი (მობ)	4.93	კანადა	0.14
კანადა (მობ)	0.53	კენია	1.24
კვიპროსი	0.44	კოლუმბია	0.44
კონგო	2.00	კონგო DR (Zaire)	1.78
კონგო DR (Zaire) PREMIUM	5.81	კორეა	0.27
კორეა DPR	3.12	კუბა	3.48
ლაოსი	0.36	ლატვია	0.92
ლატვია (მობ)	2.35	ლატვია (მობ) (BITE LATVIA. LMT. TELE 2. TRIATELI)	1.56
ლატვია (SPECIAL SVC)	3.27	ლიბანი	0.84
ლიბერია	2.00	ლიბია	1.56
ლიტვა	0.69	ლიტვა (მობ) (Special SVC)	2.35
ლიტვა (მობ) (BITE GSM. OMNITELI. OTHERS. TELE 2)	1.48	ლიხტენშტეინი	0.84
ლუქსემბურგი	0.16	ლუქსემბურგი (VAS)	0.36
ლუქსემბურგი (SPECIAL SERVICES)	3.27	მადაგასკარი	4.39
მაკედონია	0.69	მაკედონია (მობ)	1.56
მალაიზია	0.16	მალი	2.00
მალტა	0.27	მაროკო	1.78
მაროკო (მობ) (GNA)	3.48	მექსიკა	0.16
მიანმარი (ბირმა)	1.21	მოლდავეთი	1.39
მოლდავეთი (მობ)	2.62	მონაკო	0.36
მონაკო (მობ) (KFOR-Kosovo)	1.86	მონაკო (VAS)	3.48
მონაკო (მობ)	1.39	მონტენეგრო	0.58
მონტენეგრო (მობ)	1.61	მონღოლეთი	0.16
ნამიბია	0.31	ნეპალი	0.75
ნიგერი	1.61	ნიგერი (SPECIAL SERVICES)	6.95
ნიგერია	0.55	ნიდერლანდები	0.14
ნიდერლანდები (მობ)	0.31	ნიკარაგუა	1.39
ნორვეგია	0.16	ნორვეგია (VAS)	0.53
ნორვეგია (CONNEXION)	0.36	ომანი	1.43
პაკისტანი	0.27	პალესტინა	0.99
პანამა	0.63	პარაგვაი	0.31
პერუ	1.56	პოლონეთი	0.14
პოლონეთი(მობ) (AERO 2)	1.13	პოლონეთი (SPECIAL SVC, Directori call)	2.35
პოლონეთი (მობ) (ORANGE, PLUS, T-MOBILE)	0.63	პოლონეთი (მობ) (PLAY)	0.44
პოლონეთი (PREMIUM)	11.56	პორტუგალია	0.48
რუმინეთი	0.14	რუმინეთი (Special SVC)	2.41
რუსეთი	0.31	რუსეთი (მობ)	1.13
რუსეთი (მობ) (GLOBALTEL)	7.62	რუსეთი (მოსკოვი, სანკ–პეტერბურგი)	0.14
საბერძნეთი	0.14	საბერძნეთი (მობ)	0.48
საბერძნეთი (Tetra)	1.13	სამხრეთ აფრიკა	0.27
სან-მარინო	0.16	სან-მარინო (spec svc)	4.23
სან-მარინო (მობ)	1.03	საუდის არაბეთი	0.63
საფრანგეთი	0.14	საფრანგეთი (GSTAR,VAS)	1.78
საფრანგეთი (მობ)	0.31	სერბეთი	0.69
სერბეთი (მობ) (ORION)	1.61	სინგაპური	0.16
სირია	0.63	სლოვაკეთი	0.14
სლოვაკეთი (მობ)	0.48	სლოვენია	0.75
სლოვენია (მობ)	1.78	სომალი	2.35
სომხეთი	0.92	სომხეთი (მობ)	1.03
სუდანი	0.99	ტაივანი	0.53

ტაილანდი	0.27	ტაჯიკეთი	0.75
ტაჯიკეთი (PRS)	2.92	ტუნისი	3.17
ტუნისი (VAS)	13.86	უზბეკეთი	0.36
უკრაინა	0.53	უკრაინა (მობ)	1.24
უნგრეთი	0.31	ურუგვაი	0.75
ფილიპინები	0.84	ფინეთი	0.31
ქუვეითი	0.44	ყაზახეთი	0.31
ყაზახეთი (BEELINE, MOBILE)	0.63	ყაზახეთი (SPECIAL SVC)	2.92
ყაზახეთი (KCELL, TELE2)	0.36	ყაზახეთი (მობ) (premium)	3.27
ყატარი	0.92	ყირგიზეთი	1.01
ყირგიზეთი (PREMIUM)	2.92	შვეიცარია	0.69
შვეიცარია (მობ)	5.49	შვეცია	0.14
შვეცია (PAGER)	57.97	შრი-ლანკა	0.84
ჩადი	2.92	ჩეხეთი	0.14
ჩეხეთი (მობ) (Special SVC)	0.36	ჩილე	0.27
ჩილე (მობ)	4.02	ჩინეთი	0.31
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	2.92	ხორვატია	0.69
ხორვატია (მობ)	1.78	ჰონკონგი	0.16
Aeromobile	31.3	Ascension	5.99
C&W; Jersey Wireless	13.86	Cingular Wireless; Global Star	15.20
Emnify	0.48	EMSAT	15.60
FT Orange	1.86	Intermatica	21.50
Iridium 16	18.8	Iridium 17	22.00
Jersey Telecom	7.11	MCP Satellite System	8.61
Oration	13.50	Satellite Network	16.13
Thuraya	8.90	T-MOB M2M SERVICES	4.93
UAE	0.84	UNO (OCHA)	1.78
VodafoneMalta (M2M Services)	0.16	საინფორმაციო მომსახურება „118 08“	1 ზარი 1.10
საინფორმაციო მომსახურება „118 09“	1 ზარი 1.10	საინფორმაციო მომსახურება „118 18“	1 ზარი 0.25
საქართველოს მობილური	0.10	საქართველოს სტაციონარი	0.05

„შემსრულებელი“

სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“

სააგენტოს უფროსი

_____ ნ. დიდიძე

„აბონენტი“

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
მინისტრის პირველი მოადგილე

_____ გ.გიორგაძე

12558-04-02/07-3-201712121748

N 04-02/07-12558 12/12/2017

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
გიორგი კევლიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის განმავლობაში, სამინისტროს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთან" სპეცკავშირის სიტემით საკომუნიკაციო მომსახურებაზე. საჭიროა 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდეს აღნიშნული მომსახურება იგივე პირობებით.

გთხოვთ, დაავალოთ საფინანსო დეპარტამენტს ზემოაღნიშნულის განხორციელება

პატივისცემით,

გიორგი კევლიშვილი

I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -დეპარტამენტის უფროსი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი